



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ- მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ კიწიის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან ლურჯაია.

წევრები:

სოფიო დუმბაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ეკატერინე გურგენაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ქეთევანი ლარცულიანი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მაია აბდელანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ეკა მოსიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ციცინო გობაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ კიწიის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	235444248

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქ მარტვილის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქ მარტვილი, სოფელი კიწია
საფოსტო ინდექსი	3100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	დაწესებულების ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kitsia@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	551091338

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 24 0000874852 - 17/07/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 19 და 20 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქ მარტვილი, სოფელი კიწია, ორი ორსართულიანი შენობა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქ მარტვილი, სოფელი კიწია, ორი ორსართულიანი შენობა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქ მარტვილი, სოფელი კიწია, ორი ორსართულიანი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სკოლა არის სრულად რეაბილიტირებული, მცირეკონტიგენტიანი. დაწესებულებაში იგრძნობა თანამშრომლობითი კულტურა. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალურ განათლებას, რაც გაწერილია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებშიც.

ბრძანების შესაბამისად განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით. ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, (Microsoft Teams) გამოყენებით.

შეფასების ეფექტურად განხორციელების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე, შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან და მასწავლებლებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების არსებული მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. ვიზიტის პერიოდში სკოლის ყველა წარმომადგენელმა გამმოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა დაწყებითი, ხოლო საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა მეტწილად.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბაზო საფეხური)	ხარვეზი



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საშუალო საფეხური)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი,	სკოლამ 10.09.2026 წლამდე უნდა წარმოადგინოს: 1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა რომელიც შეთანხმებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან;

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	2. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ); 3. სკოლამ უნდა განახორციელოს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დამტკიცებული სახანძრო სიგნალიზაციის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების საინჟინრო პროექტები.
ინდიკატორი N 3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ ექიმი უნდა აიყვანოს 2025 წელის 10 სექტემბერამდე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ 10.09.2025 წლამდე უნდა აღჭურვოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. რათა მიღწეულ იქნას ე.ს.გ გათვალისწინებული საბუნებისმეტყველო საგნების შედეგები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ 10.09.2025 წლამდე უნდა აღჭურვოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. რათა მიღწეულ იქნას ე.ს.გ გათვალისწინებული საბუნებისმეტყველო საგნების შედეგები.



VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N 3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.
ინდიკატორი N 3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა დასაქმებულების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსებით სარგებლობის პირობებს, მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს. აღნიშნული წესში აღწერილი უნდა იყოს საბუნებრივმეტყველო ლაბორატორიის (ფიზიკა, ქიმია, და ბიოლოგია), კომპიუტერული კლასის, სპორტული ინფრასტრუქტურის, რესურსოთახის და სკოლის ბიბლიოთეკის გამოყენების წესები. ასევე, მატერიალური რესურსის და სასკოლო ინვენტარის დაზიანების დროს ზარალის ანაზღაურების პირობები.



ინდიკატორი N 3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	სასურველია სკოლამ წარმოადგინოს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
ინდიკატორი N.4.1.1.3.	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	სკოლას მიეცა რჩევა 2024-2025 სასწავლო წლისათვის სკოლის უკლებლივ ყველა მოსწავლის მშობელთან ან მის კანონირ წარმომადგენელთან გააფორმოს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება.
ინდიკატორი N 4,2,1,3	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;	სკოლას მიეცა რჩევა 2024-2025 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის მიზნით შეიმუშაოს რემედიაციის პროგრამა, საგნობრივი კათედრების მიერ განხორციელებული დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე, აგრეთვე საგაკვეთილო პროცესში დიფერენცირებული სწავლების პრინციპების დაცვით შეარჩიონ მოსწავლეები რემედიაციის პროგრამაში ჩასართავად. შედეგების გათვალისწინებით, სასურველია საგნობრივი კათედრების მიხედვით შეიქმნას მასწავლებელთა მცირერიცხოვანი ჯგუფები რემედიატორი მასწავლებლის ხელმძღვანელობით, შეადგინონ სამოქმედო გეგმა და პროგრამა, რომლის მიხედვითაც სკოლა განახორციელებს რემედიაციას.
ინდიკატორი 4.2.3.1	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	2024-2025 სასწავლო წლის დაწყებამდე სრულ მზადყოფნაში მოიყვანონ რესურსოთახი და აღჭურვონ ის საჭირო ინვენტარით.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური- სახელმწიფო ენა)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.2	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	რჩევა: სასურველია ყველა კლასის კურიკულუმს სრულად მიეთითოს: სკოლა, საგანი, მასწავლებელი, კლასი, სასწავლო წელი, სახელმძღვანელო.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა: .სასურველია III და VI კლასების კურიკულუმებში სტანდარტის გათვალისწინებით სწორად გაწერონ და შესაბამის სვეტში ასახონ სამიზნე ცნებები და საკითხები.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	რჩევა: .სასურველია III და VI კლასების კურიკულუმებში სამიზნე ცნებებისა და სტანდარტის გათვალისწინებით სწორად გაწერონ და შესაბამის სვეტში ასახონ კომპლექსური ან ნებისმიერი შემოქმედებითი დავალების იდეები, ხოლო კომპლექსური დავალების ბარათები შეადგინონ მოსწავლისათვის გასაგები ენით.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა: სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში შესაბამის გრაფაში სრულად შეიტანონ მატერიალური და ელექტრონული რესურსები, რომლებსაც იყენებენ.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	რჩევა: სასურველია, აწარმოონ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების შევსებული რუბრიკები(სამიზნე ცნებებსა და ინდიკატორის შედეგებზე დაყრდნობით)



ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	რჩევა: სასურველია შეფასების რურეკები შეადგინონ მოსწავლისათვის გასაგები ენით.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური- სახელმწიფო ენა)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა: სასურველია VII და VIII კლასის კურიკულუმებში შეიტანონ და შესაბამის გრაფაში ასახონ .სამიზნე ცნებებისა სტანდარტების შესაბამისი საკითხები
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	რჩევა: სასურველია VII და VIII კლასის კურიკულუმებში შეიტანონ სამიზნე ცნებებისა და თემების შესაბამისი კომპლექსური ან სხვა ნებისმიერი შემოქმედებითი ხასიათის დავალების იდეები.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა: სასურველია, მე-9 კლასის კურიკულუმში, შეიტანონ ის მატერიალური და ელექტრონული რესურსი, რომლებსაც იყენებენ სახელმძღვანელოს გარდა.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხური- უცხოური ენები-პირველი და მეორე)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	რჩევა: სასურველია, შემდგომ სასწავლო წლისთვის/წლებისთვის კურიკულუმი უფრო ორგანიზებულად იყოს სტრუქტურირებული და შეტანილ იქნეს ყველა კომპლექსური ტიპის დავალება/პროექტები.



ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა: სასურველია, რომ წლის მანძილზე გასავლელი თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დაწყებითი საფეხურის ყველა ცნება და კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს თემა სრულად (და არა მხოლოდ ნაწილი). დავალების პირობა წარმოდგენილი იყოს სრულყოფილად. სასურველია, რომ გააზრებული საგნობრივი შინაარსების გადმოსაცემად და სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღსაწერად, ქვესაკითხების ჩამონათვალი იყოს მკაფიო და ზუსტი.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა : დაწყებითი საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში, სასურველია, რომ ხაზგასმით გამოიკვეთოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	რჩევა: სასურველია, რომ კომპლექსურ დავალებებში დაგეგმონ უფრო მეტად მრავალფეროვანი დიფერენცირებული აქტივობების გამოყენება. მაგ., აირჩიე პროექტი, სასწავლო მენიუ და ა.შ. რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. დიფერენცირებული მიდგომის დროს სასურველია, ერთ კონკრეტულ აქტივობაზე, მოსწავლეებს სხვადასხვა /3 ტიპის დავალება შევთავაზოთ, რათა გავითვალისწინოთ სამივე შესაძლებლობის მოსწავლეთა ინტერესები
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	რჩევა: განმსაზღვრელი შეფასებისთვის სასურველია წარმოადგინონ თემის ფარგლებში გასავლელი პროცესის აქტივობები და



	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	კრიტერიუმები მიმართონ მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი და საბაზო საფეხური-მათემატიკა)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა: სასურველია რესურსები დეტალურად ეწეროს კურიკულუმში. ასევე კურიკულუმის სვეტი: „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებზე მუშაობისათვის“- ჩასწორდეს და დაეწეროს: „სასწავლო რესურსები“, რადგან ზოგიერთ თავში საერთოდ არ არის მითითებული კომპლექსური, ხოლო რესურსები საჭიროა ამ თავის დამუშავებისთვის.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	რჩევა: შეფასების რუბრიკებში დეტალურად ჩანდეს სამიზნე ცნებასთან, საკითხთან მიმართება, კრიტერიუმები იყოს გაზომვადი.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური-მათემატიკა)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	რჩევა: გარდა კომპლექსური დავალებისა, შუალედური მიზნისთვის შეუძლიათ გამოიყენონ ისეთი სახის დავალებები, როგორიცაა პროექტი, პრაქტიკული ამოცანა და სხვა.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა: სასურველია რესურსები დეტალურად ეწეროს კურიკულუმში. ასევე კურიკულუმის სვეტი: „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებზე მუშაობისათვის“- ჩასწორდეს და დაეწეროს: „სასწავლო რესურსები“, რადგან ზოგიერთ თავში საერთოდ არ არის მითითებული კომპლექსური, ხოლო რესურსები საჭიროა ამ თავის დამუშავებისთვის.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი და საბაზო საფეხური- ესთეტიკური აღზრდა)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეო მასალა), სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ვებგვერდები. გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მითითებული დამატებითი რესურსების ნუსხა და შესაბამისად აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი -საბუნებისმეტყველო საგნები	რჩევა
2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს სრულყოფილ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს.	რჩევა: დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალების ბარათები იყოს შედგენილი მოსწავლეებისათვის გასაგები ტერმინოლოგიით.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	რჩევა: შუალედური მიზნის დაფარვის საშუალებები იყოს მორგებული სამიზნე ცნებებსა და საკითხებზე.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა: სწავლების პროცესში გამოიყენონ მრავალფეროვანი რესურსები. გარდა ტელესკოლის გაკვეთილებისა ანიმაციები, ვიდეორესურსები, პლაკატები, მოდელები.
ინდიკატორი 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი	რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა ბუნებისმეტყველების სწავლებისას დაწყებით საფეხურზე გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები. სამინისტროს მიერ შემოთავაზებული



	რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.	ვებ გვერდები, სახელმძღვანელოში მითითებული ლინკები. შესაბამისად აისახოს კურიკულუმებში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	რჩევა: განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა კონკრეტული სამიზნე ცნებისა და კონკრეტული საკითხისაკენ. სასურველია დაწყებით საფეხურზე, (I -IV კლასი) მასწავლებლებმა შეიმუშაონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლითაც შესაძლებელი იქნება მოსწავლის შეფასება კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. (მსგავსად პირველი კლასისა)
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო -საბუნებისმეტყველო საგნები)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა: სწავლების პროცესში გამოიყენონ ვირტუალური ლაბორატორია და შესაბამისი ლინკებიასახონ კურიკულუმებში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	რჩევა: შეფასების პროცესში გამოიყენონ მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, შეფასება იყოს მიმართული კონკრეტული შესასწავლი თემისა და საკითხებისაკენ.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო -საბუნებისმეტყველო საგნები)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს.	რჩევა: სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ კიწიის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა საგნობრივ კურიკულუმებში ჩააშენონ შემოქმედებითი ბუნების დავალებები რაც მისცემთ შესძლებლობას



		შუალედური მიზნით დაფარავ თემის ფარგლებში გასათვალისწინებელი სამიზნე ცნებები.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემები, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. აქტივობები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.	რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენონ მრავალფეროვანი აქტივობები რომელიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაზლებლობებზე.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.	რჩევა: სკოლას მართალია ამ ეტაპზე არ ყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა მიეცათ რჩევა გააკეთონ მოდიფიცირებული დავალებების თითო ვერსია კათედრაზე.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა კურიკულუმებში ჩააშენონ ვირტუალური ლაბორატორიის ლინკები და გამოიყენონ სასწავლო პროცესში.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი- საზ.მეცნიერებები)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	რჩევა საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტის აუცილებელ კომპონენტებში მკაფიოდ და თანმიმდევრულად აიასახოს სასწავლო მიზნებზე ფოკუსირებული შესაბამისი მონაცემები, კერძოდ: საგან მე და საზოგადოების კურიკულუმში, მე-3 კლასის მეორე სავალდებულო თემაში, ასევე მე-4 კლასის პირველ და მეორე



		სავალდებულო თემებში ჩაერთოს კომპლექსური დავალება და მასთან დაკავშირებით შეივსოს ყველა სვეტი, ასევე სამიზნე ცნებებთან მიეთითოს ქვეცნებებიც; საგან ჩვენი საქართველოს მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში თითოეულ სავალდებულო თემაში განისაზღვროს მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება და მასთან დაკავშირებით შეივსოს თითოეული სვეტი, ასევე სამიზნე ცნებების გვერდით მიეთითოს ქვეცნებები.
	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო - საზ.მეცნიერებები)	<i>რჩევა</i>
<i>ინდიკატორი</i> <i>2.1.2.1</i>	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტის აუცილებელ კომპონენტებში მკაფიოდ და თანმიმდევრულად აიასახოს სასწავლო მიზნებზე ფოკუსირებული შესაბამისი მონაცემები, კერძოდ: განისაზღვროს თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, საკითხებთან მიმართებით განისაზღვროს შესაბამისი სამიზნე ცნება ქვეცნებასთან ერთად და მიეთითოს თითოეული საკითხის დასამუშავებლად ვალიდური რესურსები; თითოეულ სავალდებულო თემაში გაიწეროს მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება და მასთან დაკავშირებით შეივსოს ყველა სვეტი; (7,8,9 კლასების გეოგრაფიის, ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმები);
<i>ინდიკატორი</i> <i>2.1.2.1</i>	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტის აუცილებელ კომპონენტებში მკაფიოდ და თანმიმდევრულად აიასახოს სასწავლო მიზნებზე ფოკუსირებული შესაბამისი მონაცემები, კერძოდ: განისაზღვროს თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, საკითხებთან მიმართებით განისაზღვროს შესაბამისი სამიზნე ცნება ქვეცნებასთან ერთად და მიეთითოს თითოეული საკითხის დასამუშავებლად ვალიდური რესურსები; თითოეულ სავალდებულო თემაში გაიწეროს მინიმუმ ერთი კომპლექსური



		დავალება და მასთან დაკავშირებით შეივსოს ყველა სვეტი; (10, 11, 12 კლასების გეოგრაფიის, ისტორიის, საქართველოს ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმები); ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში მომზადდეს საგნობრივი კურიკულუმები მე-12 კლასისათვის საგნებში: გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია;

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილა სკოლის მისიასა და ხედვას, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაში ვკითხულობთ, რომ სკოლამ სასკოლო საზოგადოებას შესთავაზოს უსაფრთხო გარემოში მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების წახალისება. მოზარდებში პირადი და სოციალური პასუხისმგებლობის განცდის, განსხვავებული აზრის მოსმენის, პატივისცემისა და შემწყნარებლობის გრძნობის ჩამოყალიბება. რათა მოსწავლემ სწორად შეაფასოს და განსაზღვროს პროფესიული არჩევანი.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. სკოლა მიეკუთვნება მცირეკონტიგენტიანი სკოლების რიცხვს, იგი მდებარეობს სოფლ კიწიის ცენტრში და წარმოადგენს თემისთვის უმნიშვნელოვანეს სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლაში იგრძნობა მეგობრული და კეთლგანწყობილი მდგომარეობა, თიოუელი თანამშრომელი ზრუნავს, რომ სკოლა იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული უსაფრთხო სივრცე.

შესაბამისია ინდიკატორთან.

3. სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებისთვის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც თავისი შემადგენლობით უკვე წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისგან. სკოლამ წარმოადგინა მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების დროს სასკოლო საზოგადოებისთვის გაგზავნილი კითხვარი (მოსწავლე, მშობელი, თანამშრომელი) კითხვარი მოიცავს სკოლის ფილოსოფიის ყველა ასპექტს, რომლის საშუალებითაც დაწესებულებას მიეცა საშუალება შეემუშავებინა სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

შესაბამისია ინდიკატორთან.

4. სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებისთვის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, რომელიც თავისი შემადგენლობით უკვე წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისგან. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ მოიცავს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებებს. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური აქტით განსაზღვრულია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში ჩართული პირები-სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთა სხდომის ოქმი აღწერს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებებზე მსჯელობისა და სამუშაო ვერსიის შემუშავების პროცესებს. აღნიშნული გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

შესაბამისია ინდიკატორთან.

5. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გათავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. მეტი ხელმისაწვდომობისათვის, სკოლა აპირებს, ეს დოკუმენტი გააზიაროს სოციალურ გვერდზე და გამოაკრან თვალსაჩინო ადგილას (სკოლა ახალი გადმოსული იყო შენობაში).

შესაბამისია ინდიკატორთან.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდების“ მიხედვით, სკოლის სახელწოდებაა სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის კიწიის საჯარო სკოლა და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას და შესაბამისია ინდიკატორთან.

შესაბამისია ინდიკატორთან.



დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- კითხვარის ნიმუში სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესისთვის;
- სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

- სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის ოთხი ეტაპიანი პროცესი, რომელშიც ჩართული მხარეები მთლიანი სასკოლო საზოგადოებაა. ყველა ეტაპზე - დაგეგმვიდან დაწყებული მონიტორინგითა და ანგარიშების წარდგენით დასრულებული გასაზღვრულია სკოლის ბაზაზე ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ოთხივე ეტაპის ეფექტურ მართვასა და ანგარიშგებას.

სტრატეგიული დაგეგმვის ოთხი ეტაპი:

1. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/ გაზიარება/ დამტკიცება/ გადახედვა/ განვითარება/გასაჯაროება;
2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცება;
3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება;
4. სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადება.

1. სასკოლო პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების პროცესებს დაწესებულება აღწერს მეთოდოლოგიაში. მაგალითად, ინფორმაციის შეგროვებით სხვადასახვა მეთოდებით: სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, პედაგოგიურ საბჭოზე განხილვა და შეთანხმება, ხოლო სამეურვეო საბჭო თავისი შემადგენლობით, როგორც სასკოლო საზოგადოების ყველაზე წარმომადგენლობითი ორგანო ასრულებს მნიშვნელოვან როლს ამ ნაწილში სტრატეგიული გეგმის დამტკიცებით. წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიის დოკუმენტი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმაში წარმოდგენილია 2024-2031 წლებში სამუშაო პროცესის შემდეგი მიმართულებები, თავის მხრივ თითოეული მიმართულება დაყოფილია მიმართულების შესაბამის ამოცანებად.

1. არაფორმალური განათლების გაძლიერება

ამოცანა N1 კლუბური მუშაობის დანერგვა/ხელშეწყობა.

2. ციფრული ტრანსფორმაცია:

ამოცანა N1 სკოლის ციფრული ტრანსფორმაციისათვის მომზადება, არსებული სტუაციის კვლევა;

ამოცანა N2 ციფრული კომპეტენციების განვითარების მიზნით შიდასასკოლო პროფესიული განვითარების პლათფორმის შექმნა/დანერგვა/ამუშავება;

ამოცანა N3 ციფრული უკუკავშირის მექანიზმების დანერგვა, მოსწავლეთა ჩართულობის გაძლიერება ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში.

3. განათლების ინკლუზია.

ამოცანა N1 სსსმ, მოწყვლადი და რისკის ქვეშ მყოფ მოსწავლეებთან მუშაობა;

ამოცანა N2 პროფორიენტაციის მხარდაჭერა;

ამოცანა N3 მშობელთა ჩართულობის გაძლიერება.

თითოეული მიმართულებაში ამოცანა მის საჭიროებას, დანერგვის, მართვისა და გამოწვევებზე საპასუხო პროცესებზე (აქტივობებზე) გადის. აღნიშნული მიმართულებები და მასში შემავალი ამოცანები ეყრდნობა სკოლის მიერ წარმოდგენილ SWOT ანალიზს, რომელშიც დეტალურად განხილულია სკოლის წინაშე არსებული გამოწვევები, რომელსაც სკოლა ცდილობს უპასუხოს და მაქსიმალურად გამოიყენოს შესაძლებლობები.

შესაბამისია ინდიკატორთან.

3. სკოლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. მასში გაწერილია სტრატეგიული გეგმის მიმართულებები, ხოლო მიმართულებებში კი ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. სამოქმედო გეგმაში ვხვდებით ისეთ პუნქტებს, რომელიც დაფუძნებულია თვითშეფასებაზე, სკოლის დირექციასთან და კათედრის ხელმძღვანელებთან ინტერვიურებით ჩანდა, მათი თვითშეფასების პროცესში აღმოჩენილ გამოწვევებზე დაფიქრება, რომელზეც სკოლა გამოხატავს მზაობას გააუმჯობესოს/განავითაროს სხვადასხვა მიმართულებები. სკოლის სამოქმედო გეგმა პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს.

შესაბამისია ინდიკატორთან.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები შესაბამისია სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმის მიზნებთან, ხოლო მიზნების მისაღწევად გაწერილი ამოცანები შესაბამისი აქტივობებით რეალისტურია. სკოლის სამოქმედო გეგმაში აქტივობების პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, ასევე სკოლის მართვაში ჩართული პირები. აქტივობების შესრულება რეალისტურ ვადებშია გაწერილი, პასუხისმგებელი პირები თუ სტრუქტურული ერთეულები შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება ჯგუფის შექმნაზე;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- წლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, სკოლის მიერ დასახული მიზნების მონიტორინგს ახორციელებს ორგანიზაციის ადმინისტრაცია. მონიტორინგისთვის ასევე გამოიყენება ანგარიშგების მექანიზმი. სკოლა სასკოლო საზოგადოებას პროცესს შემდგენაირად სთავაზობს: სტრატეგიული გეგმის დამტკიცებიდან 3 წლის შემდეგ და/ან საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად. შესაბამისი პასუხისმგებელი პირები შეისწავლიან საკითხს, აკვირდებიან შესრულების ინდიკატორებს და ახდენენ მათ სისტემატურ გადამოწმებას, შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება, რომელიც უნდა განხორციელდეს წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2.არ ფასდება.

3. არ ფასდება.

4.არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სტატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- სტატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოდგინა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულები, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და ასევე ის თანამდებობები შესაბამისი ინსტრუქციებით, რომელიც სკოლას აძლევს ადამიანური რესურსების სრულყოფის შესაძლებლობას სკოლის გამართულად მართვისთვის.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულებისა თუ პირების ფუნქციები და პასუხისმგებლობების განაწილებაში ჩანს პროცესების საგანმანათლებლო საქმიანობაზე ორიენტირება და ხელის შეწყობა. სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებმა იციან მათი უფლება მოვალეობები, რომელიც გაწერილია დებულებებში და ემსახურება საგანმანათლებლო საქმიანობას. მაგალითად, საგნობრივი კათედრები იკრიბებიან სასწავლო წლის დასაწყისში და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შეიმუშავენ წლიურ სამოქმედო გეგმას, რომლის მიხედვითაც მუშაობენ სასწავლო წლის განმავლობაში. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის არსებობა აკადემიური მიმართულებით სკოლაში პროცესებს გააუმჯობესებს. სკოლის მიერ გაზიარებული დოკუმენტაციით ჩანს რომ პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო ცხოვრებას გახდის მოსწავლეზე ორიენტირებულს, ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის სწორად განხორციელებას.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხელშეკრულებები;
- დებულებები;
- თანამშრომელთა ინსტრუქცია;
- საშტატო;
- სკოლის სტრუქტურა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან, თანამშრომლებთან ურთიერთობის ძირითადი დოკუმენტები: შინაგანაწესი, სკოლის წესდება, ხელშეკრულებები, სადაც არის ძირითადი ნორმები გაწერილი. ადამიანური რესურსების მართვის პროცესები სკოლაში უკავშირდება როგორც მასწავლებლებს, ასევე ნებისმიერ სხვა დასაქმებულ პირს (ადმინისტრაციის წევრებს, ტექნიკური პერსონალს), რომელთა კოორდინირებული, შეთანხმებული საქმიანობაც განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას. სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება იმ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით აქვს სკოლას გაფორმებული მათთან.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმებითა და პოლიტიკის ამოცანებით იკვეთება სკოლის პრევენციული და ინტერვენციული პროცესები. მაგალითად, დოკუმენტში გაწერილი პერსონალის მიღება კონკურისი წესით. ასევე სკოლის სტრუქტურული ერთეულები (დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო) და მათი სამუშაო პროცესების გაწერა უზრუნველყოფს სკოლაში პერსონალის მართვას სკოლის საჭიროებაზე დაფუძნებით, რომელიც პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკით იმართება და შესაბამისია ინდიკატორთან.

შესაბამისია ინდიკატორთან.

3. სკოლის პერსონალის შერჩევა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც შიდა ასევე ღია გამოცხადებული კონკურსის გზით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკურსის გამოცხადების ნიმუში (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის) ეტაპებით: კონკურსის გამოცხადება, აპლიკაციების გადარჩევა, გასაუბრება და შერჩევა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის შერჩევის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების შერჩევის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას, პერსონალის პირადი საქმეებში ინახება ყველა ცნობა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.

შესაბამისია ინდიკატორთან.

4. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში, ხოლო შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები კი შესაბამისია აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნებთან. სკოლას ჰყავს: 16 უფროსი, 2 წამყვანი, 2 უსტატუსო მასწავლებელი. ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილი პირადი საქმეების მიხედვით პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და შესაბამისია ინდიკატორთან.

შესაბამისია ინდიკატორთან.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს, რაც კარგად იკვეთება სკოლის მიერ წარმოდგენილ ოქმებში. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. სასკოლო საზოგადოების მუშაობა ეფუძნება გუნდურობას და მონაწილეობის კულტურას, არსებული პრობლემის მოგვარება ხდება გუნდურად, მაგალითად, სასკოლო კურიკულუმზე საგნობრივი კათედრები მუშაობენ ერთობლივად, უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს და ქმნიან ახალ დოკუმენტს. გამოკითხვებისა თუ შეხვედრებზე მიღებული ზეპირი კომენტარების საშუალებით, სასკოლო საქმიანობაში ჩართულობის პასუხისმგებლობას იზიარებს გუნდის თითოეული წევრი, მათი პასუხისმგებლობები გაწერილია როგორც ხელშეკრულებებში ასევე დებულებებში. შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

შესაბამისია ინდიკატორთან.

6. სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა კათედრებისა თუ სკოლის დირექციის წევრებისგან. სკოლაში წარმატებული გამოცდილების აღიარება და გამოცდილების გაზიარება ხდება: გაკვეთილებზე ერთმანეთთან დასწრების, უკუკავშირის, ერთობლივი პროექტებისა თუ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების გზით. ასევე სკოლის

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია წახალისებისა და აღიარების საკითხები, მნიშვნელოვანია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესებში მასწავლებელთა თუ დირექციის ჩართულობა.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- განათლების მართვის სისტემის მონაცემთა ბაზა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რომლის მიზანია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და განვითარება, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება, მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა და სხვა. სკოლის შინაგანაწესი, რომლითაც განისაზღვრება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის გარკვეული საკითხები. შინაგანაწესი ადგენს შრომის პირობების, ზოგადი პრინციპების, დასაქმებულის შვებულების, წახალისების და დისციპლინური წარმოების დეტალებს. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიერ შემუშავებული დაკვირვებისა და უკუკავშირის ფორმები.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. არ ფასდება;

3. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარების მიზნები, რომლის ფარგლებშიც სკოლა მხარდაჭერას უცხადებს პერსონალს, მისი როგორც პროფესიული განვითარების ასევე კარიერული ზრდის მიმართულებას. რაც ბუნებრივია სასკოლო გარემოს გაუმჯობესებასა და მოსწავლის აკადემიური ცოდნის ამაღლებაზე იქნება ორიენტირებული. სკოლას ჰყავს 16 უფროსი, 2 წამყვანი და 2 უსტატუსო მასწავლებელი.

შესაბამისია ინდიკატორთან.

4. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გამოყენებულია ადაპტაციისა და სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესი, ჩართულია სასკოლო საზოგადოების, როგორც დირექცია ასევე კათედრები. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია მოიცავს: სასკოლო საზოგადოების გაცნობას, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, შენობის

და ინფრასტრუქტურის დათვალიერება-გაცნობას, პირადი საქმის შედგენას, სასკოლო დოკუმენტაციისა და სამუშაო აღწერილობის გაცნობას.

შესაბამისია ინდიკატორთან.

5. შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე სკოლა მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის ადგილობრივ პროექტებში, რასთანაც დაკავშირებულია პერსონალის ინიციატივები და მათი ჩართულობა პროექტებში. სკოლის კათედრებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით კი გამოჩნდა მიგნება სკოლის დირექციის მხრიდან, მათი მხარდაჭერა თუ წახალისება სხვადასხვა დროს.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა;
- შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ყავს ხარისხის განვითარების და მხარდაჭერის ჯგუფი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც სრულად აღწერილია სასწავლო პროცესი, ასევე კათედრის დებულება, რომლის ფარგლებშიც მოქმედი კათედრა ეფუძნება კანონმდებლობას და დანერგვის პროცესში ასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რომელიც საჭიროა სისტემატიზაციისთვის. სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები-ოქმები, ბრძანებები. სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით (ადმინისტრაცია, არჩეული სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო და კათედრები), ძირითად (დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები), ასევე დამხმარე პროცესებს, რომელიც აღწერილია სკოლის მიერ შედგენილ სასკოლო კურიკულუმში, სკოლის შინაგანგანაწესში. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ასევე დამხმარე პროცესებს, რომელთა იდენტიფიცირება და აღწერა სკოლის მიერ ხდება სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში.

შესაბამისია ინდიკატორთან.

3.სკოლას გააჩნია გასაჩივრების მექანიზმები, რომლითაც თანამშრომლებს, მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ საშუალება გაასაჩივრონ ცალკეული გადაწყვეტილებები. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. სკოლაში ადმინისტრაციული გადაცდომის შემთხვევაში, დაზარალებული მიმართავს დისციპლინურ კომიტეტს, რომელიც შედგება თანაბარი რაოდენობით მშობლის, მასწავლებლისა და მოსწავლისაგან. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმები გამჭვირვალეა, გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. დამრიგებლები წლის დასაწყისში აცნობენ შინაგანაწესს მშობლებს, მოსწავლეებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

შესაბამისია ინდიკატორთან.

4. სკოლის შინაგანაწესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მასწავლებლების კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას, რომელსაც კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს. მშობლები და მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს შინაგანაწესთან დაკავშირებით. მომავალი სასწავლო წლისთვის ადმინისტრაცია გეგმავს გავითვალისწინოს მათი სურვილები, წინადადებები დოკუმენტის შექმნისას. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც სემესტრში არანაკლებ ორჯერ იკრიბება, განიხილავს სკოლის საჭიროებებს და სკოლის დირექტორს მიმართავს რეკომენდაციებით.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- კათედრების დებულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eSchool), ელექტრონული ფოსტა outlook.office.com. ასევე სკოლა, ელექტრონულ ჟურნალს (onlineschool.emis.ge) განიხილავს, როგორც მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციისა და მათგან უკუკავშირის მიღების საშუალებად. სკოლას აქვს [საიტი](#), რომელიც მუშაობს გამართულად და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს ინფორმაციის მიღების საშუალება. სკოლას ასევე გააჩნია [სოციალური ქსელი](#) რაც მიმოწერის და კომუნიკაციის უფრო მარტივ საშუალებად მიიჩნევა. სოციალური ქსელი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების საშუალებას.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. დაწესებულებაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები მონაწილეობენ სკოლის მართვის პროცესებში, ასევე სტრუქტურაში ჩანს ისეთი ერთეულები როგორიცაა: ბუღალტერი, საქმიანობების მართვის, ბიბლიოთეკარი, სკოლის უსაბრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ხარისხის მართვის ჯგუფი, დამლაგებელი, დარაჯი, მუშა. ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში წარმოდგენილია ყველა კოლეგიალური ორგანო, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში თუ სკოლის მართვის პროცესებში ჩართულობა.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):



- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- სკოლის [საიტი](#);
- სკოლის [სოციალური ქსელი](#);
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები;
- კათედრის დებულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);



2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, მშობელების/კანონიერი წარმომადგენლების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო. სკოლას სამტატო განრიგით სადღეღამისო დარაჯის შტატზე დასაქმებული ყავს 3 თანამშრომელი. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია - 20 ვიდეო სათვალთვალო კამერა (სკოლის შიდა პერიმეტრზე განთავსებულია 9 კამერა, ხოლო გარე ტერიტორიაზე კი - 11 კამერა), რომელიც 24 საათის განმავლობაში აკეთებს ჩანაწერს და ინახავს ერთი თვის განმავლობაში. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია უსაფრთხოების რეგულაციები. **სკოლამ ვიზიტის პერიოდში შეადგინა და წარმოგვიდგინა უფლებამოსილ ორგანოსთან შესატანხმებელი „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“.** შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ სკოლამ წერილი გააგზავნა ექსპერტთა ვიზიტის დროს (20/08/2024 - MES 4 24 0000994966). ხოლო სკოლის შენობის მდგრადობაზე წერილი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსგან გაგზავნილი ქონდათ ექსპერტთა ვიზიტამდე (24/05/2024 -- MES 2 24 0000570252). სკოლა უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით (სართულებზე განთავსებულია ცეცხლმაქრები. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო დაფა შესაბამისი ინვენტარით). ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმაში ასახა, რომ უნდა წარმოადგინოს:

1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა რომელიც შეთანხმებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან;
2. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ);

3. სკოლამ უნდა განახორციელოს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დამტკიცებული სახანძრო სიგნალიზაციის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების საინჟინრო პროექტები.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია რომ აღნიშნული დოკუმენტები წარმოგდენილი უნდა იქნეს 10. 09. 2026 წლამდე.

მეტწილად შეესაბამება.

2. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში გამოყოფილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, მედიკამენტების შესყიდვა განხორციელდება სკოლის დაწესებამდე. სკოლას არ ყავს ექიმი, თუმცა თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ჩაწერილია, რომ აღნიშნული პრობლემა აღმოიფხვრებოდა 2024 წელის 15 სექტემბერამდე. ექსპერტების ვიზიტამდე სკოლას გამოცხადებული ქონდა ექიმის ვაკანსია. ასევე ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ იქნა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“, სადაც გაწერილია პირველადი დახმარების აღმოჩენის ზომები.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ექიმი უნდა იქნას აყვანილი 2025 წელის 10 სექტემბერამდე

მეტწილად შეესაბამება.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და სკოლის პერსონალი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით“. სკოლას შიდა რეგულაციებით დამტკიცებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი“, ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ იქნა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რითაც რეგულირდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით სკოლა დისციპლინური წარმოების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ზომებს.

შესაბამისია ინდიკატორთან.

4. სკოლას არ ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, პირადი ასისტენტი და ა.შ. ვინაიდან სკოლას არ ყავს სსსმ პირი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ერიცხება სსსმ პირი, მათ გამოყოფილი აქვთ შესაბამისი ოთახი და ფიქრობენ მის აღუჭურვაზე, ასევე დამტკიცებული აქვთ „სსსმ მოსწავლეების საგანმანათლებლო

სერვისების მიწოდების რეგულაცია“ თუ კი მათ სკოლაში მოისურვებს სსსმ მოსწავლე სწავლას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. აქტივობები იგეგმება იმგვარად რომ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური უსაფრთხოება. ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა პროექტი, რომელთაგან რამდენიმე მათგანი ეხება ბულინგსა და ძალადობის.

შესაბამისია ინდიკატორთან.

5. სკოლა ზრუნავს უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, რომელიც მოსწავლეთა ჯანმრთელობისთვის არის აუცილებელი. სკოლას გააჩნია სველი წერტილები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი საშუალებებით. სკოლა პერიოდულად იძენს სანიტ-ჰიგიენურ ინვენტარებს, ყავს ორი დამლაგებელი, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ ჰიგიენური ნორმების დაცვაზე.

შესაბამისია ინდიკატორთან.

6. სკოლა იცავს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, პერსონალის პერსონალურ ინფორმაციას. ინფორმაცია თითოეულ მათგანზე გაიცემა კონკრეტული პირის ნებართვით. მათი მონაცემები დაცულია როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად და ხელმისაწვდომია მხოლოდ კონკრეტული პიროვნების ნებართვით. სკოლაში მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის გასაჯაროება ხდება მხოლოდ მშობლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე, რომელსაც სკოლა უგზავნის მშობელს საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, როდესაც სკოლა წარადგენს სხვადასხვა პროექტის მასალებს, სადაც განთავსებულია მოსწავლეთა ფოტოები, წინასწარ მშობლები ხელს აწერენ თანხმობის ფურცელს. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი. სკოლას ჰყავს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი.

შესაბამისია ინდიკატორთან.

7. სკოლა იღებს შესაბამის ორგანიზაციულ ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ ინფორმაცია. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, პროგრამაში (განათლების მართვის სისტემის მიერ ლიცენზირებული) არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. სკოლას ჰყავს IT სპეციალისტი.

შესაბამისია ინდიკატორთან.

8. არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანაგებო მდგომარეობის მართვის გეგმის ამსახველი დოკუმენტები;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- სსსმ მოსწავლეების საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- მიწერილობები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები;
- ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები
- შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ კიწიის საჯარო სკოლა “(ს/კ235444248) ფუნქციონირებს ქ. მარტვილში, სოფელ კიწიაში განთავსებულ შენობა-ნაგებობაში. დაზუსტებული ფართობია 20401.00 კვ.მ., ხოლო შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი 1477.284 კვ.მ. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართობით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა არსებობის ვადით. სკოლა ფუნქციონირებს ორ ორსართულიან სასწავლო კორპუსში. N1 ორსართულიან შენობაში 7 საკლასო ოთახია და განკუთვნილია საბაზო და საშუალო საფეხურისთვის. გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში არის საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტი (რომლიც ჯერ არ არის აღჭურვილი). ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, ექიმის კაბინეტი, მანდატურის ოთახი, სველი წერტილები-ბიჭების, გოგნებისთვის, პერსონალისთვის და სსსმ პირისთვის. N2 ორსართულიან შენობებში განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, რომელიც განკუთვნილია დაწყებითი საფეხურის კლასებისათვის. სკოლას აქვს ეზო, სადაც მოწყობილია სპორტული მოედანი.

სკოლა ვიზუალური დათვალიერებით იდეალურადაა კეთილმოწყობილი. საკლასო ოთახები დიდი და ნათელია, აქვს ისტის კაბინეტი, სადაც გათავსებულია პერსონალური კომპიუტერები და ლეპტოპები რომლებიც განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის ქსელში ჩართულია. ასევე აქვს კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი და ხელოვნურსაფარიანი სტადიონი, ბიბლიოთეკა, ყველა სართულზე სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული, რესურსოთახი, უსაბრთხო და დაცული ეზო.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და დაფით. სკოლის ბალანსზეა 167 მერხი და სკამი. კომპიუტერი-7, ლეპტოპი-29, პროექტორი-3, პრინტერი-3. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ სკოლას ქონება გადაეცა არსებობის ვადით, რაც იძლევა გარანტიას, რომ ავტორიზაციის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალურ რესურსით.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. სასკოლო გარემოს სწორი მოწყობა უზრუნველყოფს მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისთვის კომფორტულ, უსაფრთხო აკადემიურ სივრცეს. სკოლას აქვს საერთო სარგებლობის სივრცეები: სკოლის ეზო შემოსაზღვრულია. სპორტ დარბაზი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო (მოსაწყობია) და კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი- ეს ყველა საერთო სარგებლობისაა და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ადაპტირებული საპირფარეშო განთავსებულია ორივე სართულზე. მოსწავლეებისათვის სკოლაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია. **სასურველია სკოლამ შეიმუშაოს** მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა დასაქმებულების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსებით სარგებლობის პირობებს, მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს. აღნიშნული წესში აღწერილი უნდა იყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის (ფიზიკა, ქიმია, და ბიოლოგია), კომპიუტერული კლასის, სპორტული ინფრასტრუქტურის, რესურსოთახის და სკოლის ბიბლიოთეკის გამოყენების წესები. ასევე, მატერიალური რესურსის და სასკოლო ინვენტარის დაზიანების დროს ზარალის ანაზღაურების პირობები.

შესაბამისია ინდიკატორთან.

სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა მზად არის როგრც მატერიალურად (გაჩნია პანდუსი, ლიფტი, ადაპტირებული საპირფარეშო, სივრცე რესურსოთახისათვის) ასევე პროგრამულად - შემუშავებული აქვთ „**სსსმ მოსწავლეების საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია**“

შესაბამისია ინდიკატორთან.

4. სკოლა უზრუნველყოფილია სპორტული დარბაზითა, სამკითხველო სივრცით. სივრცე სააქტო დარბაზისათვის, სასკოლო ბიბლიოთეკა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებას ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებას; უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მუდმივად ახლდება.

შესაბამისია ინდიკატორთან.

5. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად აქვს სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, რომელიც განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. სკოლას აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობით წესი, რომელიც გაცნობილია მოსწავლეებისათვის დამრიგებლების მიერ. სკოლას ასევე გააჩნია კურიკულუმით გათვალისწინებული საჭირო რესურსები, (კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია ინტერნეტით, ნათელი და ფართო დერეფნები, სივრცე სააქტო დარბაზისათვის, სპორტული მოედანი, გარე ხელოვნურსაფარიანი მოედანი და სხვა სასწავლო რესურსი). სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბიბლიოთეკის დებულება;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- მატერიალური რესურსის ფლობის მასალები
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა: 7 პერსონალური კომპიუტერი; 29 ლეპტოპი; 3 პროექტორი; 3 ქსეროქსი/პრინტერი. აღნიშნული ინვენტარი განლაგებულია შესაბამის ლოკაციაზე (დირექცია, კანცელარია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა). კომპიუტერულ

ლაბორატორიაში განლაგებულია 3 პერსონალური კომპიუტერი, მთელს შენობაში გამართული აქვთ WiFi სიტემა. სკოლის თითოეული თანამშრომელს, მოსწავლეს შეზღუდვის გარეშე აღნიშნულ ღოკაციებზე შეუძლიათ ისარგებლონ ტექნიკით. ლაბორატორიაში არსებული კომპიუტერები ჩართული არის განათლების მართვის საინფორმაციო ქსელის ინტერნეტში, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიები უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისთვის, ლაბორატორიას ჰყავს პასუხისმგებელი პირი, რომელიც აღრიცხავს საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიიდან გატანილი კომპიუტერების რაოდენობას და შემდგომ იზარებს მას. მასწავლებლები გაკვეთილებს ატარებენ კომპიუტერულ ლაბორატორიაში საჭიროებიდან გამომდინარე. სასურველია სკოლამ წარმოადგინოს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საინფორმაციო მენეჯერის ხელშეკრულება;
- დირექტორის ანგარიში;
- Wi-Fi-ის აპარატების მიღება-ჩაბარება.
- კომპიუტერების მიღება-ჩაბარება;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის როგორც შიდა ასევე გარე დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ერთიანი ელექტრონული სისტემის eflow საშუალებით. მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოებისა და არქივის წარმოების წესები და ინსტრუქციები. ამ პროცედურისთვის სკოლას აქვს საქმისწარმოების დამტკიცებული წესი. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის (eflow, eschool, mes.gov.ge). დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: Google, office 365, Teams. სკოლას აქვს [ვებ-გვერდი](#) - სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (ESCHOOL), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა: Kitsia@mes.gov.ge

შესაბამისია ინდიკატორთან.

3. სკოლა ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eschool), სადაც განთავსებულია ინფორმაცია როგორც მოსწავლეებზე და მშობლებზე, ასევე მასწავლებლებზე და სკოლის პერსონალზე. კლასის დამრიგებლებს აქვთ წვდომა, თავისი პირადი პროფესიული პორტფელიოსთან და ასევე სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების პირად ინფორმაციასთან და ვალდებული არიან საჭიროებისამებრ შეიტანონ ცვლილებები მათ პირად მონაცემებში.

შესაბამისია ინდიკატორთან.

4. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის არსებობს ანგარიშების მიწოდების განსაზღვრული პროცედურები, რომელსაც სკოლა ითვალისწინებს და დროულად აწვდის ანგარიშებს (მაგ. დირექტორის მიერ 10 დეკემბრამდე წარსადგენი ანგარიში) და სხვადასხვა სახის ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოებისა და არქივის წარმოების წესები და ინსტრუქციები. (ბრ 2-21 -20 ივნისი 2024)

- საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;
- Eflow;
- eSchool.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ვებგვერდი მუშაობს გამართულად, მასზე განთავსებულია კანონმდებლობით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია, პერიოდულად ხორციერდება ინფორმაციის განახლება. ასევე სკოლას აქვს თავისი ფეისბუქ გვერდი, სადაც ზიარდება ყველა საჭირო და ახალი ინფორმაცია, აქვეა განთავსებული ინფორმაცია ჩატარებულ ღონისძიებებზე. იტვირთება ფოტო და ვიდეო მასალა, ყველა ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი მასწავლებლებისათვის, მოსწავლეებისათვის ასევე მშობლებისათვის. გარკვეული ინფორმაციები თვასდება სკოლის One Draiv, სკოლის ფეისბუქ გვერდს ჰყავს პასუხიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სიახლის გაზიარებას სოციალურ ქსელში. სკოლა ასევე იყენებს მესენჯერ ჯგუფებს, თიმსის ჯგუფებს,

სადაც კლასის დამრიგებლები განათავსებენ სხვადასხვა სიახლეს. სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებსა თუ სხვადასხვა სიახლეებს.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. სკოლა უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას აქვს აქტიური სოციალური ქსელი და სკოლის ვებ-გვერდი, რომელიც იხვეწება და თავსდება ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის შესახებ. ასევე, საკომუნიკაციოდ გამოიყენება დამრიგებლების მიერ შექმნილ შიდა ჯგუფები (ფეისბუქჯგუფები, სატელეფონო კომუნიკაცია).

შესაბამისია ინდიკატორთან.

3. სკოლა ცდილობს სხვადასხვა არხებით მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას და საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებას, მაგალითად, როდესაც სკოლა იღებს ინფორმაციას სხვადასხვა მიმართულების ტრენინგ პროგრამების შესახებ, ის აწვდის კონკრეტულ ინფორმაციას მასწავლებლებს ელექტრონული და ზეპირი სახით. სკოლა საკომუნიკაციო არხებიდან იყენებს ოფიციალური სოციალურ ქსელის გვერდს. სკოლა სხვადასხვა პროექტებისა თუ აქტივობის შეფასებისათვის ხშირად იყენებს მშობლების და მოსწავლეების გამოკითხვის.

შესაბამისია ინდიკატორთან.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. პერიოდულად ხორციელდება ინფორმაციის განახლება.

შესაბამისია ინდიკატორთან.

5. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების პროექტი, კიწიის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი და 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმის პროექტი.

შესაბამისია ინდიკატორთან.



დასტურდება (მტკიცებულებები):

- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი /Facebook

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი, ამჟამად ჰყავს 77 მოსწავლე და გათვლილი ვაუჩერული დაფინანსებით, რომლის ბიუჯეტი არის განსაზღვრული კონკეტული თანხა, რომლის 85%-ზე მეტი ხმარდება სახელფასო ფონდს, დანარჩენი კომუნალურ ხარჯებს. მინიმალურად ფინანსდება სკოლის რესურსებისა და ინფრასტრუქტურული ხარჯებისთვის. სკოლის ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე ხორციელდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტი, ფინანსურ საქმიანობას აწარმოებს ფაქტობრივი ბიუჯეტით, სადაც მუხლობრივად არის გაწერილი როგორც შემოსავალი ასევე ხარჯი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შვიწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების პროექტები, აქედან გამომდინარე ექსპერტთა მოსაზრებით ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა გამოდინარეობდეს შვიწლიანი სტრატეგიული გეგმიდან აუცილებლად უნდა ახლდეს **საპროგნოზო ბიუჯეტი**.

სასურველია სკოლამ წარმოადგინოს საპროგნოზო ბიუჯეტი.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც ასახულია სკოლის ბიუჯეტში. სკოლის ფინანსური რესურსი აისახება სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ შეთანხმებული ბიუჯეტზე და წლიურ შესყიდვების გეგმებში. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში ინდ. აქტით შედის ცვლილებები. ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის დირექტორი ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს, სადაც გაწერილია სკოლის ფინანსური მართვის პოლიტიკა.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება:

- ბიუჯეტი 2023;
- შესყიდვების გეგმა;
- ბრძანებები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიას წარმოდგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებული და შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რომლის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, ასევე ის ღონისძიებები, რასაც სკოლა ატარებს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვის კუთხით. მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მშობლების თანხმობის საფუძველზე.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის ვიზიტისას სკოლის შინაგანაწესი არ იყო გამოკრული, (სკოლა გასულ სასწავლო წელს ფუნქციონირებდა სხვა შენობაში, წლეწანდელ სასწავლო წელს (სექტემბრიდან) ისინი ახალ შენობაში დაიწყებენ, სადაც უშუალოდ განხორციელდა ვიზიტი) სკოლის დათვალიერებისას სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებული იყო საინფორმაციო დაფები და სკოლის წარმომადგენლის ახსნით აქ გაიკვრება სკოლის შინაგანაწესი და სხვა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია. ამასთანავე დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოიკვრება დერეფანში სასწავლო წლის დასაწყისშივე და საჭიროემისამებრ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში განხორხორციელდება ცვლილებები.

შესაბამისია ინდიკატორთან.

3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არასრული რაოდენობით, რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებით განსაზღვრულია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებება-მოვალეობები.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ კიწიის საჯარო სკოლის მოსწავლეთა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, პერსონალის უფლებების დაცვის მექანიზმი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის აღმწერი დოკუმენტაცია, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პირველკლასელთა ტრანცაქციაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, კოორდინატორი, ჯგუფის წევრთა ფუნქციები დამიღების ფორმები.

შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის მიერ დადგენილი ვადებისა და ეტაპების შესაბამისად. სკოლაში მობილობა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 ივნისის N2-49 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა მობილობის წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

შესაბამისია ინდიკატორთან.

3.სკოლა წელს იწყებს ფუნქციონირებას ახალ შენობაში, შესაბამისად ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს განსაზღვრული ფასიანი დამატებითი მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმები,სადაც ფიქსირდება მოსწავლეთა ინფორმირების წესი სხვადასხვა პროგრამებისა თუ შეთავაზებების შესახებ.

შესაბამისია ინდიკატორთან.

4. სკოლის მიერ განთავსებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ სრულად შეესაბამება კანონმდებლობას. არადისკრიმინაციულია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის. სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, ტარდება ღონისძიებები, აქტივობები, რომელთა შესახებ ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ სხვადასხვა საინფორმაციო არხებით. სკოლას აქვს აქტიური ვებგვერდი და სოციალური ქსელი .

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლაში ტრანზიციისათვის ბავშვისა და ოჯახის საჭიროებების განსაზღვრის ფორმა
- ბრძანება N 2-27 .
- მოსწავლის ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დამტკიცებულია სსიპ -მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ კიწიის საჯარო სკოლის მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, სასკოლო მზაობას, კლასის დამრიგებლის, მშობლისა როლს.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ კიწიის საჯარო სკოლის მიერ მისი მისიის, მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმებს და მათი განხორციელების პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლის ძირითადი მიმართულებაა მოსწავლეზე ორიენტირება, ამიტომაც ის დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას და გააადვილოს სასწავლო პროცესში პირველკლასელთა და სხვა სკოლიდან/უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამავე დოკუმენტით ირკვევა, რომ ეს მექანიზმი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაშიც,

როდესაც მოსწავლეს, წინა პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზებისგან დამოუკიდებლად, გააჩნია სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და მათ მშობლებზე.

შესაბამისია ინდიკატორთან.

3. სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა მხარდაჭერაზე აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, რისთვისაც იყენებს განმავითარებელ შეფასებას/თვითშეფასებას, უკუკავშირს ზეპირი თუ წერილობითი კომენტარებითა და რეკომენდაციებით. თუ მოსწავლეს სოციალური ფაქტორების გამო აქვს სირთულეები სწავლის მხრივ, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მულტიდისცილინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მოხდება ინკლუზიურ განათლებაში ჩართვა. სასკოლო პროექტების განხორციელებისას ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და ინტერსების გათვალისწინება, შემაჯამებელი დავალების აღდგენა შესაძლებელია სემესტრის განმავლობაში. მოსწავლეთა გაცდენებით გამოწვეულ აკადემიური ჩამორჩენის დროს მასწავლებლები ინდივიდუალურად მუშაობენ მათთან, რათა დაძლეულ იქნეს ეს ჩამორჩენა. მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მშობლების თანხმობის საფუძველზე.

შესაბამისია ინდიკატორთან.

4. მოსწავლისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლებების რეალიზებისთვის, სკოლა ახორციელებს სრულყოფილ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლა ქმნის ისგ ჯგუფს, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

შესაბამისია ინდიკატორთან.

5. სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის მუშაობის ფარგლებში სკოლამ არაერთი პროექტი განახორციელა. 2024-2025 სასწავლო წლიდან, სკოლის ახალ შენობაში იგეგმება შიდასასკოლო სპორტულ შეჯიბრებები, აქტიური კლუბური სამოშაოების განხორციელება. რაც შეეხება სარაიონო შეჯიბრებებს სპორტში, სკოლა ჩართულია და არაერთ ღონისძიებას ახორციელებს სარაიონო მასშტაბით და აქვთ წარმატებებიც.

შესაბამისია ინდიკატორთან.

6. სკოლამ წარმოადინა მშობელთა კრების ოქმის გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება, რომ მეორე უცხო ენის არჩევის საკითხი განხილული იყო მშობლებთან და არჩევანი განხორციელდა მათი ინტერესების გათვალისწინებით. საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნების სწავლებაც მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხდება.

დირექტორის განცხადებით, სკოლა ცდილობს, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის საშუალებით, მოსწავლეთა და მშობელთა მოლოდინებისა და ინტერესების იდენტიფიცირებას და მათ გათვალისწინებას სასწავლო პროცესში; ასევე მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. დირექტორის აღწერით სკოლაში არსებობს კვლევების ჩატარების გამოცდილება, მათ შორის მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების მიმართულებით, ამიტომ პერიოდულად ტარდება გამოკითხვები, ინტერვიუება იმ მიზნით, რომ ბავშვებს შეეძლოთ სურვილის შემთხვევაში გაგვიზიარონ თავიანთი აზრი მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. გარდა ამისა დამრიგებლების მიერ ხდება მოსწავლეთა იდეების მიღება და შემდეგ გაზიარება. აღნიშნული გამოკითხვები ტარდება როგორც კონტაქტურად, ასევე დისტანციურად. ამასთანავე შესაძლებელია ამ აქტივობისთვის გამოყენებულ იქნას სოციალური ქსელიც.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ -მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ კიწიის საჯარო სკოლის მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სამუშაო ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- ბრძანება მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა მიერ კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის ამაღლების კუთხით მუშაობენ კლასის დამრიგებლები. სადამრიგებლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა მიერ პროფესიებზე ნათელი წარმოდგენის შექმნა, გააცნობიერონ ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობა პროფესიის არჩევის დროს, შეძლონ აირჩიონ მათთვის შესაბამისი პროფესია საკუთარი შესაძლებლობებისა და პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მე- 11 კლასის სასწავლო სესიების მოდულები -4 გაკვეთილი გაწერილია თემებისა და მიზნების მიხედვით.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

შესაბამისია ინდიკატორთან.

3. დირექციასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლის პრიორიტეტია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნით ხშირად საუბრობენ სასკოლო საზოგადოებასთან. საუბრის ანალიზის შედეგებს ითვალისწინებენ შემდგომი მუშაობის მანძილზე. ასევე მოსწავლეთა ინტერესები და მათი საჭიროებები იქნა გათვალისწინებული მომდევნო სასწავლო წლიდან აქტიურად დაინერგება საკლუბო მუშაობა.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მე-11 კლასის სასწავლო სესიების მოდულები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

